სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №76
ხელშეკრულება

ქ. ბათუმი 26 მარტი 2018 წ.

ხელშეკრულების ზოგადი პირობები:

1. ხელშეკრულების მხარეები:

ერთის მხრივ **ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო** (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მ/შ თენგიზ პეტრიძის სახით

და

მეორეს მხრივ **შპს „ბონდი-2009"** (შემდგომში _ მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის მამუკა დოლიძის სახით

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება), რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

2. ხელშეკრულების საგანი:

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ ჩატარებული ელექტრონული ტენდერის საფუძველზე (**NAT180000396**) ქ. ბათუმში, ნ. ნიჟარაძის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოების (CPV45200000-სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები) სახელმწიფო შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ფასი:

წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით „შემსყიდველის" მიერ გადახდილი უნდა იქნეს „მიმწოდებელზე" შეადგენს 1532999,76 (ერთი მილიონ ხუთასოცდათორმეტი ათას ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 76 თეთრი) ლარს. (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი").

4. ხელშეკრულების შემადგენლობა:

წინამდებარე ხელშეკრულებას ქმნიან და ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ შემდეგი დოკუმენტები:

ა) ხელშეკრულების ზოგადი პირობები;

ბ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;

გ) ტექნიკური პირობები;

დ) ფასების ცხრილი, გეგმა-გრაფიკი;

ე) ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფაზე სს ,,საქართველოს ბანკი"- ს მიერ მიმწოდებელზე გაცემული საბანკო გარანტია №PE42134-18;

ვ) სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ელექტრონული ტენდერის - NAT180000396 სატენდერო დოკუმეტაციის ველში დანართის სახით განთავსებული დოკუმენტაციები, ასევე შედეგების ველში განთავსებული დოკუმენტაციები.

„შემსყიდველი"

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"

(ხელმოწერა)

5. ხელშეკრულების სხვა ზოგადი პირობები:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში, ფორმითა და წესით.
4. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო პროცესში ჩართული საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობა უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებით არანაკლებ 70%-ის ოდენობით.
5. სამუშაოების შესრულება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 450 (ოთხასორმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში (2019 წლის 19 ივნისის ჩათვლით);
6. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 25 დეკემბრამდე პერიოდი;

6. მხარეთა ხელმოწერები, იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

,,შემსყიდველი“	,,მიმწოდებელი“
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის	შპს „ბონდი-2009“ ს/კ 245626470
აღმასრულებელი ორგანო	მის: საქართველო
მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25	ქ. ბათუმი ლ. ასათიანის ქ. N100
ს/კ 245576826;	ტელეფონი +99558 936474
ბანკის დასახელება-სახელმწიფო ხაზინა	ელ-ფოსტა mamuka.bondi@gmail.com
ბ/კ: TRESGE22	მომსახურე ბანკი სს“ საქართველოს ბანკი“
ანგ. №GE24NB0330100200165022	ბანკის კოდი BAGAGE22
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი,	ანგ. № GE71BG0000000136676800
მერის მ/შ თენგიზ პეტრიძე	დირექტორი: მამუკა დოლიძე

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

1. **ხელშეკრულების დამდები მხარეები:**

შემსყიდველი: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს (შემდგომში – შემსყიდველი), ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მ/შ თენგიზ პეტრიძის სახით

მიმწოდებელი: შპს „ბონდი-2009“ (შემდგომში _ მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის მამუკა დოლიძის სახით

2. **გამოყენებული ტერნმინების განმარტებები:**

ხელშეკრულებაში ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემსყიდველ ორგანიზაციასა და პრეტენდეტს შორის შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;
2.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
2.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში – „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
2.4. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს რომელიც ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
2.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

3. **სტანდარტები:**

ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

4. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი:**

4.1. შემსყიდველი მისი წარმომადგენლის მეშვეობით ახდენს შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას;
4.2. მიმწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ სამუშაოებზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ;
4.3. მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებებით;
4.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;
4.5. შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნია უფლება შეაჩეროს სამუშაოები და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სანქციები;

„შემსყიდველი“
(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“
(ხელმოწერა)

4.6. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები;

4.7. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხიდან კონტროლს, შესრულებული სამუშაოების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება–ჩაბარების მიზნით მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას და ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიძინა კონცელიძე. შემსყიდევლს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ დროს ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებლებრივი აქტით მიანიჭოს ქ. ბათუმის მერიის სხვა თანამშრომელს ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერ სხვა პირს. შემსყიდველის ასეთი გადაწყვეტილება არ საჭიროებს მიმწოდებლის არც წინასწარ და არც შემდგომ თანხმობას და იგი ძალაში შედის შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

4.8. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხიდან კონტროლის, შესრულებული სამუშაოების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება–ჩაბარების მიზნით მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილების 4.7. პუნქტის შესაბამისად შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირზე მინიჭების შემდეგ ასეთი უფლებამოსილების მინიჭებამდე შესრულებული სამუშაოების კონტროლისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების შედეგები და გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

5. სამუშაოს შესრულების პირობები:

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაოები, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით;

5.2. სამუშაოების წარმოება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 450 (ოთხასორმოცდაათი) კალენდარულ დღეს ხელშეკრულების გაფორმებიდან.

5.3. სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, შემსყიდველის მხრიდან ტექნიკურ ზედამხედველსა და მიმწოდებელს შორის შესაძლებელია დაზუსტდეს სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი. სამუშაოების გეგმა-გრაფიკში შესული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულებაში დამატებით ცვლილებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ვადები გამოიწვევს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების დასრულების ვადის ცვლილებას.

„შემსყიდველი"

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"

(ხელმოწერა)

6. **დაზღვევა:**

მიმწოდებელი ვალდებულია დააზღვიოს: მუშა-მოსამსახურე პერსონალი უბედური შემთხვევისაგან და მესამე პირთა მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

7. **თანმდევი მომსახურება:**

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა დანადგარებისაგან და სხვადასხვა ნარჩენებისაგან;
7.2. სამუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გავლენა.

8. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი:**

8.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
8.2 შესყიდვის ობიექტის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება გაწეული სამუშაოების შესრულების ადგილზე.
8.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
8.4. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, თუ არ მომხდარა ხელშეკრულების შეწყვეტა, შემსყიდველი ეტაპობრივად მხოლოდ მაშინ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნება ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფისათვის მიმწოდებელზე გაცემული საბანკო გარანტია. წინააღმდეგ შემთხვევაში შესრულებული სამუშაოების მიღება–ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტისას, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ;
8.5. ხელშეკრულების მიმწოდებლის ბრალით შეწყვეტის შემთხვევაში, მიღება–ჩაბარებას არ ექვემდებარება სამუშაო, რომელიც განმეორებითაა შესასრულებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გაგრძელების შემთხვევაში ან რომელიც არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან/და საყოველთაოდ აღიარებულ ხარისხს (პირობებს). მტკიცების ტვირთი, რომ შესრულებული სამუშაო ექვემდებარება მიღება–ჩაბარებას, ეკისრება მიმწოდებელს.

9. **ანგარიშსწორება:**

9.1. ა) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;
ბ) საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება;
გ) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობივად, თითოეულ ეტაპზე ექსპერტიზის დასკვნის, მიღება-ჩაბარების აქტის, გადახდის სერთიფიკატის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
დ) შემსყიდველი ახდენს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულების 5%-ის დაკავებას. დაკავებული თანხის გამოქვითვა იწარმოებს ფაქტიურად შესრულე-

„შემსყიდველი"
(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"
(ხელმოწერა)

ბული სამუშაოების მოცულობების შესაბამისად, გადახდის სერტიფიკატის, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურაში ნაჩვენები თანხების პროპორციულად 5%-ის ოდენობით;

ე) სამუშაოს სრულად დასრულების შემდეგ მიმწოდებელს დაუბრუნდება დაკავებული თანხის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი დაუბრუნდება სამუშაოების დასრულებიდან 2 წლის შემდეგ მას შემდეგ, რაც ტექნიკური ზედამხედველი დაამოწმებს, რომ მის მიერ ყველა მითითებული დეფექტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღმოფხვრილია მიმწოდებლის მიერ, ან დაკავებული თანხის მეორე ნახევარი მიმწოდებელს შესაძლებელია აუნაზღაურდეს სამუშაოს მთლიანად დასრულების შემდეგ შესაბამისი საბანკო გარანტიის წარდგენის საფუძველზე. გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების საგარანტიო პერიოდს.

ვ) თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა გამარჯვებულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ სამუშაოთა მოცულობების ღირებულების ანაზღაურებაზე;

ზ) მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების ყოველთვიური გადახდის სავარაუდო გრაფიკი. შემსყიდველი უფლებამოსილია არ განახორციელოს ანაზღაურება ხელშეკრულების ყოველთვიური გადახდის სავარაუდო გრაფიკის წარმოდგენამდე.

თ) 2018 წელს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებით ანაზღაურდება არაუმეტეს 597 300,00 (ხუთასოთხმოცდაჩვიდმეტი ათას სამასი) ლარი, ამასთან შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება 2018 წელს დამატებითი დაფინანსების შესახებ.

10. გარანტია-დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი:

10.1. საგარანტიო პერიოდი შეადგენს 24 თვეს სამუშაოების დასრულებიდან;

10.2. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში მოახდინოს გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვა, ისე რომ შესრულებული სამუშაოები სრულ შესაბამისობაში იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

10.3. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოების მიმართ ვრცელდება წინამდებარე პუნქტის 10.1 ქვეპუნქტისა და 10.2 ქვეპუნქტის მოქმედება.

11. ფასები:

11.1. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების გაზრდა შესაძლებელია, მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად;

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)

11.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შემცირება დასაშვებია თუ: მომსახურების გაწევის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაო არ არის შესრულებული სრული მოცულობით.

12. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის:

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,02% პროცენტის ოდენობით;

12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

12.3. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჩამოერთმევა სრულად შემსყიდველის სასარგებლოდ;

12.4. შემსყიდველი უფლებამოსილია წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო გაუქვითოს მიმწოდებელს სახელშეკრულებო ფასიდან.

13. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა:

13.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე - საბანკო გარანტია, გაცემული სს „საქართველოს ბანკი" -ს მიერ. (№PE42134-18);

13.2. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფაზე სს „საქართველოს ბანკი" - ს მიერ მიმწოდებელზე გაცემული საბანკო გარანტია №PE42134-18 ძალაშია 2019 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა:

14.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

14.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

14.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

14.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

14.5. ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე შეთანხმება, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, შეიძლება მხარეების მიერ ხელმოწერილი იქნას ცალცალკე და ხელშეკრულების მეორე მხარეს ხელმოსაწერად გაეგზავნოს ფოსტის მეშვეობით. ასეთ დროს

„შემსყიდველი"

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"

(ხელმოწერა)

ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე შეთანხმებაში უნდა მიეთითოს თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის თარიღი და უნდა ითვალისწინებდეს ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღს, მაგრამ არაუადრეს შეთანხმებაზე პირველი ხელმოწერის შესრულების თარიღისა. აღნიშნული პირობების დარღვევის შემთხვევაში შეთანხმება ძალაში შედის მასზე ბოლო ხელმოწერის შესრულების დღიდან;

14.6. ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე შეთანხმება მხარეების მიერ შეიძლება ხელმოწერილი იქნას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ხელმოწერილი შეთანხმების ერთი პირი გაეგზავნოს ხელშეკრულების მხარეს. ასეთ დროს სავალდებულოა, რომ ხელშეკრულების თითოეული მხარის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების ტექსტი იყოს იდენტური და იგი შედგენილი იყოს ორმხვრივი შეთანხმებისათვის დადგენილი ფორმით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თითოეული მხარის მიერ ხელმოწერილი ტექსტი უნდა შეიცავდეს მხოლოდ ხელმომწერი მხარის ხელმოწერის პუნქტს იურიდიული მისამართისა და საბანკო რეკვიზიტების მითითებით. ასეთ დროს ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე შეთანხმებაში უნდა მიეთითოს თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის თარიღი და უნდა ითვალისწინებდეს ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღს, მაგრამ არაუადრეს შეთანხმებაზე პირველი ხელმოწერის შესრულების თარიღისა. აღნიშნული პირობების დარღვევის შემთხვევაში შეთანხმება ძალაში შედის მასზე ბოლო ხელმოწერის შესრულების დღიდან;

14.7. ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე ორმხვრივ შეთანხმებას უთანაბრდება მხარეთა მიერ ერთმანეთისადმი გაგზავნილი წერილობითი დოკუმენტები, როცა ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ გამოვლენილი ნება მიღებული იქნება ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ და საპასუხო წერილობითი დოკუმენტით პირდაპირ აცნობებს მისი თხოვის დაკმაყოფილების თაობაზე. ასეთი წერილობითი დოკუმენტი პირდაპირ უნდა შეიცავდეს, ხელშეკრულების რომელი პირობა იცვლება და როგორია ხელშეკრულების შეცვლილი პირობა ან/და ხელშეკრულებას რა შინაარსის პირობა დაემატა. წინამდებარე პუნქტის შესაბამისად ხელმოწერილ წერილობით დოკუმენტს ორმხვრივი შეთანხმების თანაბარი იურიდიული ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებზე ხელმოწერის უფლების მქონე პირი;

14.8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით ხელშეკრულების ვადის (ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის) გაგრძელების საკითხის განხილვისას, თუ მიმწოდებელი სამუშაოების შესრულებას ახორციელებდა ხელშეკრულების დანართი გრაფიკის შესაბამისად, თუნდაც რომ გრაფიკით დადგენილ ვადაში სამუშაოს შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ იყოს პირგასამტეხლო, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების თანდართული გრაფიკით დადგენილ ვადაში სამუშაოთა შესრულების მდგომარეობა, რა დროსაც, თუ დადასტურდა, რომ ხელშეკრულების (ვალდებულების შესრულების) საბოლოო ვადის დარღვევა განაპირობა ხელშეკრულების თანდართული გრაფიკით დადგენილ ვადაში სამუშაოთა ბრალეულმა შეუსრულებლობამ, დაუშვებელია ხელშეკრულების (ვალდებულების შესრულების) საბოლოო ვადის გაგრძელება.

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)

15. **სუბკონტრაქტორები:**

15.1. მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში;
15.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს;
15.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

16. **ხელშეკრულების შესრულების შეფერხება:**

16.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;
16.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით;
16.3. ხელშეკრულების მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევა არ ჩაითვლება ბრალეულ დარღვევად, თუ აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით განსახორციელებელი ქმედება სავალდებულოდ საჭიროებს რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემას, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანო არ ახდენს აღნიშნულზე ხელშეკრულების მხარის მოთხოვნის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განხილვას ან უსაფუძვლოდ უარს ეტყვის ხელშეკრულების მხარეს ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემაზე;
16.4. 16.3. პუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განუხილველობა ან ხელშეკრულების მხარისათვის ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემაზე უარის უსაფუძვლობა დადასტურებული უნდა იყოს ზემდომი ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს აქტით;
16.5. წინამდებარე პუნქტი არ მოიცავს ფორსმაჟორულ გარემოებებს და მათი რეგულირება ხდება სხვა პუნქტით.

17. **ხელშეკრულების შეწყვეტა:**

17.1. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:
17.1.1. მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით. დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა შემსყიდველის თანხმობის გარეშე, გარდა ამ პუნქტის 17.1.4. ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;
17.1.2. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შედეგად ამ პუნქტის 17.1.3. და 17.1.4. პუნქტების შესაბამისად;

„შემსყიდველი“ (ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“ (ხელმოწერა)

17.1.3. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება ცალმხრივად ვადამდე შეიძლება მოიშალოს (შეწყდეს):

17.1.3.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებისათვის დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში;

17.1.3.2. თუკი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა;

17.1.3.3. მიმწოდებელი შემსყიდველის გაფრთხილების მიუხედავად მისთვის გადაცემულ ქონებას ან/და ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას თვითმმართველ ქ. ბათუმის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ სხვა ქონებას მნიშვნელოვნად აზიანებს ან უქმნის ასეთი დაზიანების რეალურ საშიშროებას;

17.1.3.4. მიმწოდებლის მიერ გაფრთხილების მიუხედავად ხელშეკრულების იმავე პირობების განმეორებით ან/და სხვა პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში;

17.1.3.5. ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე აშკარა ხდება, რომ მიმწოდებელი დადგენილ ვადაში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის (შეწყვეტის) საფუძვლები, ხოლო შემსყიდველმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას;

17.1.3.6. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

17.1.3.7. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

17.1.3.8. თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

17.1.3.9. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

17.1.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულება ცალმხვივად ვადამდე შეიძლება მოიშალოს (შეწყდეს):

17.1.4.1. არ მოხდა შემსყიდველის მიერ იმ ობიექტის დროულად გამოთავისუფლება და მიმწოდებლისათვის ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით გადაცემა, სადაც ან რომელზეც უნდა განხორციელდეს სამუშაოს შესრულება, თუ აღნიშნული მდგომარეობა გაგრძელდა ოთხ თვეზე მეტ ხანს;

17.1.4.2. თუ მიმწოდებლისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

17.1.4.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

17.2. ხელშეკრულება წყდება ნაკისრი ვალდებულების შესრულების გამო;

17.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

17.4. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხვრივად მოშლა (შეწყვეტა) დასტურდება შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამათლებრივი აქტით;

17.5. ხელშეკრულების მიმწოდებლის ბრალით მოშლის (შეწყვეტის) შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს მიღება–ჩაბარებასთან დაკავშირებით გამოიყენება წინამდებარე ხელშეკრულების 8.5. პუნქტის მოთხოვნები;

17.6. ხელშეკრულების შემსყიდველის ბრალით მოშლის (შეწყვეტის) შემთხვევაში ხდება შესრულებული სამუშაოს სრულად ანაზღაურება.

„შემსყიდველი"

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"

(ხელმოწერა)

18. **დაუძლეველი ძალა (ფორს–მაჟორი) და დაუძლეველი ძალის გარემოება:**

18.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი და/ან დაგვიანებით შესრულების გამო პასუხისმგებლობისაგან, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებებით, რაც ასევე არ გამოიწვევს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას;

18.2. ამ პუნქტის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალის გარემეობა" ნიშნავს მხარეთა ნებისა და კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია მიუხედავად მხარეთა გონივრული მცდელობებისა და რომელთაც მიეკუთვნება, მაგრამ არ შემოიფარგლება ამით:

ა) ომი, სამხედრო მოქმედება, რეკვიზიცია, ბლოკადა, მობილიზაცია, ემბარგო;

ბ) აჯანყება, რევოლუცია, სამხედრო ან უკანონო ქმედება ან სამოქალაქო ომი;

გ) ამბოხი ან საბოტაჟი;

დ) საზოგადოების მტრების ან ტერორისტების მოქმედებები;

ე) სტიქიური უბედურებები (ქარიშხლი, ქარბორბალა, წყალდიბობა და სხვა), ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება

ვ) სხვა გარემოებები, რომლებიც საყოველთაოდ აღიარებულია ფორს–მაჟორულ გარემოებად ან/და რომელიც ასეთად იქნება აღიარებული ხელისუფლების ორგანოების მიერ.

18.3. დაუძლეველი ძალის გარემოების გამო მხარეები პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან მხოლოდ იმ დროთა და მოცულობით, რაც აუცილებელია დაუძლეველი ძალის სიტუაციით გამოწვეული პრობლემების მოგვარებისათვის. დაუძლეველი ძალის გარემოების მოქმედების დროს მხარემ, რომელზეც იმოქედებს ასეთი გარემოება, რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს ასეთი გარემოების შესახებ და მიაწოდოს ასეთი გარემოების დამამტკიცებელი სათანადო საბუთი და მისი ხანგრძლივობის სავარაუდო ვადა და შედეგები და ორივე მხარემ უნდა მიიღონ ყველა ზომა იმისათვის, რომ შეამცირონ მეორე მხარისადმი ზარალის ოდენობა, რომელიც გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებით;

18.4. თუ დაუძლეველი ძალის გარემოებები გაგარძელდა 2 (ორი) თვეზე მეტი ხნის ვადით, ხელშეკრულების თითოეული მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა (მოშლა);

18.5. იმ შემთხვევაში, თუ ფორს–მაჟორული გარემოებების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შეცვლაზე, მათ შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. ამასთან, ხელშეკრულების პირობების შეცვლა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ დროთა და მოცულობით, რაც აუცილებელია დაუძლეველი ძალის სიტუაციით გამოწვეული პრობლემების მოგვარებისათვის;

18.6. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის არცერთ შემთხვევაში ფორს–მაჟორულ გარემოებას არ წარმოადგენს მხარეთა ფინანსური სიძნელეები, საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, ასევე სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან ურთიერთობის გამო დამდგარი შედეგები და კლიმატური პირობები, გარდა სტიქიური უბედურებებისა, რამაც მთლიანად ან ნაწილობრივ გაანადგურა ხელშეკრულების პირობების (ხარისხის) შესაბამისად შესრულებული

„შემსყიდველი"

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"

(ხელმოწერა)

სამუშოა ან შეუძლებელი გახადა მისი შესრულება;

19. **სადაო საკითხების გადაწყვეტა:**

19.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;
19.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს;
19.3. სასამართლოში სადაო საკითხის განხილვისას გამოიყენება სართველოს კანონმდებლობა;
19.4. რადგან ხელშეკრულების შესრულების ადგილს წარმოადგენს ქ. ბათუმი, სადაო საკითხის განხილვის მოთხოვნით მიმართვა ხდება ქ. ბათუმის მერიის ადგილსამყოფელის მიხედვით არსებული სასამართლოსადმი.

20. **გამოყენებული სამართალი:**

ხელშეკრულება დადებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

21. **ხელშეკრულების ენა:**

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

22. **შეტყობინებები:**

22.1. შეტყობინების წესი:
შეტყობინება ხელმოწერილი უნდა იყოს გამგზავნი მხარის მიერ ან მისი სახელით, გაეგზავნოს მხარეს, რომელიც არის მისი ადრესატი და მიეწოდოს ამ მხარეს მისამართზე, რომელიც მითითებულია 22.2 პუნქტში, ან უკანასკნელ მისამართზე, რომელიც მხარემ შეტყობინების მეშვეობით განსაზღვრა შეტყობინებებისთვის წინამდებარე ხელშკრულების შესაბამისად. მხარისთვის გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება უნდა იყოს ქართულ ენაზე ან თან ახლავდეს ქართული თარგმანი;
22.2. შეტყობინების მისამართი და შეტყობინების დრო:
შეტყობინება უნდა გადაეცეს ხელიდან ხელში ან გაიგზავნოს ფოსტის მეშვეობით, და წინამდებარე ხელშეკრულების და ყველა სხვა მიზნისთვის იგი ჩაითვლება მიწოდებულად:
(ა) **ხელიდან ხელში გადაცემისას:** როდესაც ის პირადად მიეწოდება მხარეს ქვემოთ მოცემულ მისამართზე ან უკანასკნელ მისამართზე, რომელიც მხარემ შეტყობინების მეშვეობით განსაზღვრა შეტყობინებებისთვის წინამდებარე ხელშკრულების შესაბამისად.

„შემსყიდველი"
(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"
(ხელმოწერა)

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მის: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25	შპს „ბონდი-2009“ ს/კ 245626470 ქ. ბათუმი ლ. ასათიანის ქ. N100

(ბ) **კურიერული ფოსტა:** თუ გაიგზავნა ფოსტის მეშვეობით 22.2. პუნქტის „ა“ ქვეპუნ-ქტით განსაზღვრულ მისამართზე, რაც დასტურდება კურიერის მიწოდების დასტურის ჩანაწერებში;
შეტყობინებები, რომლებიც მიღებულია უქმე დღეს ან სამუშაო დღის 17.00 საათის შემდეგ ჩაითვლებიან მიღებულად შემდეგ სამუშაო დღეს.

23. **სხვა პირობები:**

23.1. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება შეესაბამება მათ მი-ერ გამოვლენილ ნებას და ნების გამოვლენისას მათზე რაიმე სახის ძალდატანებას ადგილი არ ჰქონია. ასევე ადასტურებენ, რომ ისინი უფლებამოსილნი არიან ხელი მოაწერონ წინამდებარე ხელშეკრულებას სწორედ აღნიშნული შინაარსით;
23.2. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად და ყოველი ეგზემპლარის თითოეული გვერდი დამოწმებულია ქ. ბათუმის მერიის ბეჭდით. თითოეულ ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა;
23.3. სხვა საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ ასრის წინამდებარე ხელშეკრულებით წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

„შემსყიდველი“
(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“
(ხელმოწერა)

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2018 წლის 26 მარტის N76 ხელშეკრულების ტექნიკური პირობები:

1. <u>ტექნიკური დოკუმენტაცია</u>

1.1. შესყიდვის ობიექტის მოცულობა:

ა) ნ. ნიჟარაძის ქუჩა - 1915 გრძ.მ.

1.2. ტექნიკური პირობები:

1.2.1. ნ. ნიჟარაძის ქუჩა

ა) არსებული სიტუაცია:

ე.წ. „ბონი-გოროდოკის" ქუჩები და მათ შორის ნ.ნიჟარაძის ქუჩა სნ და წ 2.05.02-85 წ. ნორმების მიხედვით განეკუთვნება V ტექნიკურ კატეგორიას და წარმოადგენს ადგილობრივი მნიშვნელობის გზას. გზის ტექნიკური მახასიათებლები: გეგმა, გრძივი პროფილი, მიწის ვაკისი, სავალი ნაწილი და გზაზე არსებული ხელოვნური ნაგებობები მნიშვნელოვანი შეზღუდვების გარეშე არის მიღებული. მიწის ვაკისი უზრუნველყოფს საავტომობილო ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობას, ამიტომ არსებული გზის გეგმა, გრძივი პროფილი, მიწის ვაკისი ძირითადად შენარჩუნებულია უცვლელად. მიმდინარე ეტაპისათვის ქუჩის, ტროტუარების და სანიაღვრე სისტემების არსებული მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და საჭიროებს სარეკონსტრუციო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

ბ) ჩასატარებელი სამუშაოები:

ნ. ნიჟარაძის ქუჩის სიგრძე 1915 მეტრია. პროექტით გათვალისწინებულია I და II ტიპის საგზაო სამოსი. ***ტიპი I:*** შემასწორებელი ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ასფალ- ტობეტონით, სისქით 2.5 სმ, თხევადი ბიტუმის მოსხმა, საფარი- წვრილმარცვლოვანი, მკვრივი, ფოროვანი ა/ბ ცხელი ნარევი, მარკა II, h= 5 სმ; ***ტიპი II:*** ქვესაგები ფენა - ქვიშა- ხრეშოვანი ნარევი, h=35 სმ, საფუძველი - ფრაქც. ღორღი (0-40)მმ, სისქით 15 სმ (ГОСТ 2507- 83), თხევადი ბიტუმის მოსხმა, საფარის ქვედა ფენა - მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ღორღოვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევი მარკა II, სისქით 6სმ (ГОСТ 9128-84), თხევადი ბიტუმის მოსხმა, საფარის ზედა ფენა -წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევი ტიპი ,,Б" მარკა II სისქით 4სმ (ГОСТ 9128-84).

ამ მონაკვეთზე გვხვდება ხიდი, რომელიც ტრანსპორტის გასასვლელად სახიფათოა და საჭიროებს რეაბილიტაციას. დაგეგმილია სანიაღვრე მილების ჩაწყობა და ჭების მოწყობა, ასევე ავტოგასამართ სადგურთან ღია სანიაღვრე არხის მოწყობა ცხაურით. ასევე ეწყობა ტროტუარები რელიეფის მიხედვით.

„შემსყიდველი"

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"

(ხელმოწერა)

1.2.2. გამოყენებული მასალები:

ა) ბაზალტის ბორდიური - ბორდიურის მასალა - ბაზალტი; მასალის ხარისხი - ГОСТ 6666-81 და ГОСТ 9479-98, წახნაგის მოჭრით;

ბ) ორშრიანი დეკორატიული ფილა - ახალი, ორშრიანი დეკორატიული ფილების მახასიათებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნას: ბეტონის სიმტკიცე შეკუმშვისას - 30 მპა (მეგაპასკალი), ბეტონის წყალშთანთქმა-არაუმეტეს 6%, ბეტონის ცვეთადობა-არაუმეტეს 0.9/კვ.სმ, ბეტონის ყინვაგამძლეობა-არ უნდა შეიცვალოს თვისებები არანაკლებ F-200 ციკლზე. მასალის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ГОСТ 17608-91-ის ან ევროსტანდარტის EN 1338-2007 მოთხოვნებს. ფილების I შრე უნდა იყოს 4,5-5 სმ. სისქის. II შრე 0,8-1 სმ. სისქის სპეციალური მაღალხარისხიანი ფერადი პიგმენტითა და ცემენტით შექმნილი ფენა. ფილების ფერი უნდა შეთანხმდეს შემსყიდველ ორგანიზაციასთან;

გ) ყველა გამოყენებული მასალა უნდა იყოს მაღალხარისხიანი და აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ყველა სამშენებლო ნორმასა და სტანდარტს. ყველა მასალა, მოწყობილობა, საკომპლექტო ნაწილი, სამარაგო საგანი, მოწოდებული კონტრაქტის ფარგლებში, უნდა იყოს ახალი, უხმარი, სტანდარტული, მაღალი ხარისხის, საუკეთესო დონეზე დაპროექტებული და დამზადებული. უხარისხო ან დაბალი ხარისხის მასალები, მოწყობილობები და საკომპლექტო ნაწილები არ მიიღება და მათი გამოყენება არ იქნება ნებადართული.

1.2.3. ინფორმაცია საქონლის მახასიათებლების შესახებ:

ა) მიმწოდებელმა გამარჯვების შემთხვევაში, ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, მოწოდებამდე უნდა წარმოადგინოს გამოყენებული მასალების ნიმუში - ბაზალტის ბორდიურის 1 ეგზემპლარი, ორშრიანი დეკორატიული ფილის 2 ეგზემპლარი, სხვადასხვა ფერის, ასევე ლაბორატორიული დასკვნა საქონლის მახასიათებლების შესახებ და შეათანხმოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან;

ბ) ლაბორატორიული დასკვნა საქონლის (ბაზალტის ბორდიური, ორშრიანი დეკორატიული ფილა) მახასიათებლების შესახებ გაცემული უნდა იყოს სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ.

1.2.4. სამუშაოთა შესრულების წესი:

სამუშაოების წარმოების პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ წესებსა და ნორმებს. სამუშაოების შესრულების პროცესში პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის შემოფარგვლა და დამცავი გამაფრთხილებელი თვალსაჩინოების და შუქნიშნების დაყენება. მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.

მიმწოდებლების მასალებისა და კონსტრუქციების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და სამშენებლო ნორმებს. სამუშაოს დაწყებისთანავე წარმოდგენილი იქნეს სამუშაოს წარმოების ჟურნალი. შემსრულებელმა უნდა აწარმოოს ფარული სამუშაოების აქტები იმ სამუშაოებზე, რომლებზეც საჭიროა აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოება.

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)

მშენებლობის დროს აუცილებელია СНиП-ებით ხელმძღვანელობა, შესრულება და დაცვა მათი მოთხოვნებისა შრომის დაცვასა და უსაფრთხოების ტექნიკაში. მომუშავენი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და ასევე უნდა სრულდებოდეს საერთო კოლექტიური დაცვის ღონისსძიებებიც. აუცილებელია უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის და ხანძარსაწინააღმდეგო მომქმედი წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების დაცვა. სამუშაოების შესრულებისას, მიმწოდებელმა თითოეული სამუშაოსთვის უნდა უზრუნველყოს ისეთი უსაფრთხო და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი სამუშაო პირობები, რის შესაძლებლობასაც იძლევა საქმიანობის ხასიათი. ყველა სამუშაო უნდა შესრულდეს იმ ადგილობრივი და სახელმწიფო კანონების, კოდექსების, მოთხოვნებისა და დადგენილებების შესაბამისად, რომლებიც ეხება ადამიანთა უსაფრთხოებას, ჯანმრთელობის დაცვასა და კეთილდღეობას. შემსრულებელი კარგად უნდა იცნობდეს და უნდა ემორჩილებოდეს ყველა სამშენებლო წესს, რომელიც კანონითაა დადგენილი.

შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაოთა უსაფრთხოებისათვის საჭირო ყველა წესისა და ინსტრუქციის შესრულება, რათა შეძლებისდაგვარად აიცილოს უბედური შემთხვევები და მინიმუმამდე დაიყვანოს თავისი მუშაკების და სხვა ადამიანთა ზარალი. სამუშაო ტერიტორიაზე უნდა იყოს შესაბამისი ნიშნები და გაფრთხილებები.

სამუშაოთა წარმოების დროს განსაკუთრებით ყურადღებით უნდა შესრულდეს მიწის სამუშაოები ჭრილში კომუნიკაციების (ელ. კაბელის, გაზსადენის, წყალსადენის და სხვა) ფარგლებში. აუცილებელია სამუშაოთა წარმოების ზონაში მოხვედრილი კომუნიკაციების მფლობელთა თანდასწრება და მათი მოთხოვნების გათვალისწინება. შემსრულებელმა უნდა ჩაატაროს ღონისძიებები, მიიღოს უსაფრთხოების შესაფერისი ზომები და განახორციელოს ყველა საჭირო სამუშაო ხელშეკრულების ფარგლებში, შეათანხმოს აღნიშნული სამუშაოები შესაბამის სამსახურებთან, მის სამუშაო ტერიტორიაზე ელექტროენერგიის, ტელეგრაფის, ტელეფონის ხაზების, ბუნებრივი გაზის სადენების და სხვა კომუნალური აღჭურვილობის დასაცავად და მათზე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად. აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები უნდა გაიღოს შემსრულებელმა. შემსრულებელმა უნდა დაიცვას და გაათავისუფლოს დამკვეთი ყოველგვარი პრეტენზიისაგან, მოთხოვნისაგან, სარჩელისაგან, ზარალის ანაზღაურებისაგან და ხარჯებისაგან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ზემოთაღნიშნული ზემოქმედების შედეგად ან მასთან კავშირში. შემსრულებელი ვალდებულია სათანადოდ დაიცვას ყველა შენობა, ნაგებობა, დანადგარი, კომუნიკაციები დაზიანებისაგან და გაფუჭებისაგან ხელშეკრულებისის მოქმედების პერიოდში. შემსრულებელმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა შენობის, ნაგებობის, მილსადენების, კაბელების, კანალიზაციის, რკინიგზის და სხვა კომუნიკაციების დასაცავად.

<u>სხვადასხვა მიწისქვეშა კომუნიკაციის შეხვედრის შემთხვევაში შემსრულებელმა საკუთარი სახსრებით უნდა უზრუნველყოს კომუნიკაციის გადატანა მისი დაზიანების გარეშე. შემსრულებელმა საკუთარი სახსრებით უნდა უზრუნველყოს არსებული მეორადი</u> <u>მასალების ტრანსპორტირება ქ. ბათუმის მერიის საწყობში.</u>

<u>მიმწოდებელმა სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო და კეთილმოწყობის სამუშა-</u>

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)

ოების შესრულების დროს უნდა უზრუნველყოს არსებული/მოქმედი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გარე განათების გამართულ მდგომარეობაში არსებობა/შენარჩუნება. განათება მუდმივად უნდა იყოს ჩართული მთელი ღამის განმავლობაში იმ დროსაც კი, თუ სამუშაოების შესრულების დროს მოხდება მისი დაზიანება (ამისათვის გამოიყენებული უნდა იქნას დროებითი საჰაერო ელექტრო გადამცემი ხაზები, რომელიც დარჩება მიმწოდებლის საკუთრებაში).

1.2.5. სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა:

მიმწოდებელი პასუხისმგებელია:

- შეასრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით;
- უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა;
- მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოებთან დაკავშირებული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა გარემოზე;
- ყველა სახის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება შეთანხმებული უნდა იყოს ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურთან;
- სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი თავისი ძალებით და სახსრებით 5 დღის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ.

1.2.6. ექსპერტიზის დასკვნა შესრულებულ სამუშაოებზე:

ა) მიმწოდებელი ვალდებულია თითოეულ ეტაპზე, ანგარიწორებამდე, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა ყველა შესრულებული სამუშაოს შესაბამისობაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან (აკრედიტებული პირის მიერ გაცემულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი).

„შემსყიდველი"

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"

(ხელმოწერა)

ხარჯთაღრიცხვა

ქ. ბათუმში ნ. ნიჟარაძის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები

#	სამუშაოს დასახელება	განზომილების ერთეული, რაოდენობა		ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)
	თავი 1. ტერიტორიის ათვისება და მოსამზადებელი სამუშაოები				
1	ქუჩის დაკვალვა	კმ	1,915	459,33	879,62
2	არსებული წყალგამტარი მილების გაწმენდა ხელით დატვირთვა ა/თვითმცლელებზე და გატანა ნაყარში	$მ^3$	24	10,28	246,72
3	მილის სათავისების შეკეთება და ზოგ ადგილას ტროტუარებისათვის გვირდულების მოწყობა ბეტონით B20	$მ^3$	25	159,80	3995,00
4	მიწის კიუვეტების გაწმენდა ხელით, დატვირთვა და გატანა ნაყარში	$მ^3$	500	10,28	5140,00
	სახიდე გადასასვლელი				0,00
1	.-სავალი ნაწილის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონით სისქით 5სმ	$მ^2$	50	15,97	798,50
2	liTonis moajirebi, სექციის sigrZiT 3.0m, milkvadratebisagan da misi montaJi (SeRebviT)	t	3,04	2265,45	6886,97
	თავი 2. მიწის ვაკისი				0,00

1	ვარცლის დამუშავება გრეიდერით, სისქით h=60სმ, დატვირთვა ექსკავატორით V-0.65მ3 ა/თვითმცლელებზე და გატანა ნაყარში	მ3	3486	1,35	4706,10
	<u>თავი 3. საგზაო სამოსი</u>				
	<u>ტიპი I (1420გ.მ)</u>				
1	შემასწორებელი ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონით, სისქით 2.5სმ	ტ	511,2	125,07	63935,78
2	თხევადი ბიტუმის მოსხმა	ტ	3,41	942,47	3213,82
3	წვრილმარცვლოვანი, მკვრივი, ფოროვანი ა/ბ ცხელი ნარევი, მარკა II, h= 5სმ	მ2	8520	15,97	136064,40
	<u>ტიპი II (495გ.მ) (+ნაწიბურების აღდგენა პირველ ტიპზე)</u>				0,00
1	ქვესაგები ფენა – ქვიშა–ხრეშოვანი ნარევი, h=35სმ	მ3	2065	22,12	45677,80
2	საფუძველის ქვედა ფენა - ფრაქციული ღორღი (0-40)სმ, h=15სმ	მ2	6900	5,08	35052,00
3	თხევადი ბიტუმის მოსხმა	ტ	3,486	953,88	3325,23
4	საფარის ქვედა ფენა-მსხვილმარცვლოვანი, ფოროვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევი მარკა II, h=6სმ	მ2	5810	17,48	101558,80
5	თხევადი ბიტუმის მოსხმა	ტ	1,743	953,88	1662,61

6	საფარის ზედა ფენა - წვრილმარცვლოვანი, მკვრივი, ფოროვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევი, მარკა II, h= 4სმ	მ2	5810	12,91	75007,10
	<u>თავი 4, ხელოვნური ნაგებობები</u>				
	<u>ა) სანიაღვრე მილების ჩაწყობა</u>	გრძ.მ	3830	1,07	4098,10
1	გრუნტის დამუშავება ქვაბულში ექსკავატორით V=0.65მ^3, დატვირთვა ა/თვითმცლელებზე და გატანა ნაყარში	მ^3	11200	0,65	7280,00
2	გრუნტის დამუშავება ხელით, დატვირთვა ა/თვითმცლელებზე და გატანა ნაყარში	მ^3	1200	10,28	12336,00
3	ქვიშის საგები გოფრირებული მილების ქვეშ სისქით 20სმ	მ^3	850	36,73	31220,50
4	მაღალი სიმტკიცის გოფრირებული მილები d-400მმ	გრძ.მ.	3900	37,24	145236,00
5	მაღალი სიმტკიცის გოფრირებული მილები d-600მმ	გრძ.მ.	120	110,81	13297,20
6	მაღალი სიმტკიცის გოფრირებული მილები d-100 მმ ეზოების დაერთებისათვის	გრძ.მ.	330	15,96	5266,80
7	სანიაღვრე ჭასთან მიერთებების ადგილის გამონოლითება ქვიშა-ცემენტის ხსნარით	მ^3	36	139,71	5029,56
8	ქვიშის ჩაყრა ქვაბულში ავტოგრეიდერით	მ^3	3500	24,29	85015,00
9	ქვიშა-ხრეშოვანი გრუნტის ჩაყრა ქვაბულში ავტოგრეიდერით	მ^3	4249,95	16,79	71356,66
	<u>ბ) სანიაღვრე ჭების მოწყობა</u>	ც	124	2,14	265,36
1	გრუნტის დამუშავება ხელით, დატვირთვა ა/თვითმცლელებზე და გატანა ნაყარში	მ^3	316,8	10,28	3256,70

2	ქვიშა-ხრეშოვანი საგები სანიაღვრე ჭის ქვეშ სისქით 20სმ	$მ^3$	19	53,41	1014,79
3	სანიაღვრე ჭის ძირის ბეტონი B22.5, F200, W6	$მ^3$	22,4	159,80	3579,52
4	სანიაღვრე ჭის კედლების ბეტონი B22.5, F200, W6	$მ^3$	90,6	159,80	14477,88
5	- ჭის ძირის არმატურის ბადე (10X10)სმ	ტ	1,32	1727,03	2279,68
6	- კედლების ბადის არმატურა Φ10 A – III	ტ	1,4	1727,03	2417,84
7	.-ბადეების დამაკავშირებელი არმატურა Φ6AI	ტ	0,24	1727,03	414,49
8	კედლების უკანა მხარის გაგლესვა ბიტუმით	$მ^2$	630	7,93	4995,90
9	ქვიშა-ხრეშოვანი გრუნტის ჩაყრა ქვაბულში ხელით	$მ^3$	182,4	5,96	1087,10
10	თუჯის ცხაურები ჩარჩოთი	ც	124	253,68	31456,32
	<u>**გ) ღია სანიაღვრე არხის (30X40) მოწყობა ცხაურით (ავტ.გასამართ სადგურთან)**</u>	გრძ.მ	20	4,93	98,60
1	გრუნტის დამუშავება ხელით, დატვირთვა ხელით ა/თვითმცლელებზე და გატანა ნაყარში	მ3	30	10,28	308,40
2	მათ შორის: გაწმენდა	მ3	20	10,28	205,60
3	ფრ. ღორღის (0-40)მმ მოსამზადებელი შრე არხის ქვეშ h=10სმ	მ3	1,6	53,41	85,46
4	არხის მოსაწყობი მონოლითური ბეტონი B25 F200 W6:				0,00
5	ძირი	მ3	1,82	159,80	290,84
6	.-კედლები	მ3	2,43	159,80	388,31

7	არხის კედლების უკანა მხარის გაგლესვა ბიტუმით 2-ჯერ	მ2	20	8,60	172,00
8	ქვიშა-ხრეშოვანი გრუნტის უკუჩაყრა არხის გვერდზე ხელით	მ3	8	5,96	47,68
9	ლითონის მილკვადრატი კვეთით 40*40*3მმ	ტ	0,448	1727,05	773,72
10	კუთხოვანა 50*50*5	ტ	0,2	1727,05	345,41
11	კუთხოვანა 45*45*4	ტ	0,16	1727,05	276,33
12	მილკვადრატი 40*40	ტ	0,8	1727,05	1381,64
13	შტირები Ø10 AIII L=10სმ	ტ	0,005	1728,00	8,64
14	არმატურა Ø12 AIII	ტ	0,4	1727,05	690,82
15	ბეტონის კბილის მოწყობა არხის ზემოთ ა/ბეტონის საფარის მხარეს ზომ. 10*3სმ	მ3	5,82	159,80	930,03
16	ლითონის კონსტრუქციების გაღებვა ანტიკოროზ. საღებავით	ტ	1,21	148,28	179,42
	<u>ინფრასტრუქტურის განვითარება</u>				0,00
	მიწისქვეშა კომუნიკაციები				0,00

1	გრუნტის მოჭრა ჭებისადა მილების მოსაწყობად	$მ^3$	240	10,28	2467,20
2	ქვიშა-ხრეშოვანი საგები სანიაღვრე ჭის ქვეშ სისქით 20სმ	$მ^3$	10,08	10,28	103,62
3	სანიაღვრე ჭის ძირის და კედლების ბეტონი B22.5, F200, W6	$მ^3$	80	159,80	12784,00
4	კედლების და ძირის ბადის არმატურა დ=10 A-III კლასის არმატურით	ტ	12,2	1727,06	21070,13
5	კედლების უკანა მხარის გაგლესვა ბიტუმით	$მ^2$	420	7,79	3271,80
6	კედლების გახვრეტა მილების შესაშვებად	ც	360	2,34	842,40
7	ნახვრეტების შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით	$მ^3$	1,2	139,74	167,69
8	ქვიშა-ხრეშოვანი გრუნტის ჩაყრა ქვაბულში ხელით	$მ^3$	78,00	5,96	464,88
9	ჭის პოლიმერული სახურავი ტროტუარებისათვის	ც	60	117,84	7070,40

10	სარეზერვოდ პლასტმასის მილების მოწყობაDN150 მმ კედლის სისქე 0,915 სმ (საკომუნიკაციო ჭების დაკავშირება)	გრძ.მ	1080	30,58	33026,40
	<u>თავი 6. გზის კუთვნილება და მოწყობილობა</u>				
1	<u>ტროტუარები</u>				
2	- საფუძვლის მოწყობა ქვიშისაგან, სისქით 3სმ	$მ^3$	96	27,28	2618,88
3	დეკორატიული ფილის მოწყობა პანდუსების ჩათვლით (ორშრიანი 5+1 სმ; ფერადი)	$მ^2$	3900	28,06	109434,00
4	.- ბაზალტის ბორდიურის ზომ. (15*30)სმ მოწყობა ბეტონის საფუძველზე	გრძ.მ.	2472	44,90	110992,80
	<u>თავი 7 - საჭიროების შემთხვევაში (ელ. სამონტაჟო და კომუნიკაციების აღდგენის სამუშაოები)</u>				0,00
1	პლასტმასის გოფრირებული მილის მოწყობა ტრანშეაში კაბელის გასატარებლად Φ–50;	გრძ.მ.	2100,00	3,38	7098,00
2	ძალოვანი იზოლირებული ABBГ 4X25 კაბელის გატარება მონტაჟი გოფრირებულ მილში	გრძ.მ.	2100,00	2,81	5901,00
3	სხვადასხვა დაზიანებული კომუნიკაციების აღდგენა	ადგ	100,00	42,85	4285,00

	სულ ჯამი I-VII თავი				1261312,95
	რეზერვი გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე (დამკვეთის განკარგულებაში)	3%			37839,39
	ჯამი				1299152,34
	დღგ 18%				233847,42
	სულ ჯამი				1532999,76

ნ. ნიჟარაძის ქუჩის კეთილმოწყობის

სამუშაოების წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკი

№№	სამუშაოს დასახელება	სამუშაო პერიოდი, 450 კალენდარული დღე (15 თვე)														
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1	ტერიტო. ათვისება და მოსამზ. სამუშაოები															
2	მიწის ვაკისის მოწყობა															
3	საგზაო სამოსის მოწყობა															
4	ხელოვნური ნაგებობების მოწყობა															
5	გზის კუთვნილება და მოწყობილობა															
6	ელ. სამონ. და კომუნ. აღდგენის სამუშაოები															

შპს "ბონდი-2009"-ს დირექტორი: მამუკა დოლიძე

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია # PE42134-18

21 მარტი 2018 წელი

თბილისი
გარანტი: სს საქართველოს ბანკი (შემდგომში „გარანტი")
გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869
გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო
პრინციპალი: შპს ბონდი-2009 (შემდგომში „პრინციპალი")
პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 245626470
პრინციპალის მისამართი: საქართველო, ბათუმი, ასათიანის ქ., №100
ბენეფიციარი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „ბენეფიციარი")
ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 245576826
საგარანტიო თანხა: 153,300 (ასორმოცდაცამეტი ათას სამასი) ლარი
ტენდერის უნიკალური ნომერი: #NAT180000396

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა ქ. ბათუმში, ნ. ნიჟარაძის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულების მიზნით წარდგენილი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ, გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე ზემოთ აღნიშნული საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამში 153,300 (ასორმოცდაცამეტი ათას სამასი) ლარი და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის საფუძველზე, მოთხოვნის მიღებიდან მომდევნო 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

წინამდებარე გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან და მოქმედია 2019 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი წერილობით მოთხოვნის ორიგინალი დოკუმენტი თანხის ანაზღაურებაზე, გარანტის მიერ მიღებულ უნდა იქნას გარანტიის მოქმედების ვადის ჩათვლით სს "საქართველოს ბანკის" სათავო ოფისში, კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის ყურადღებოდ, თბილისის დროით (UTC / GMT +04: 00 საათი) 17:00 საათის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: გაგარინის ქ.#29ა, თბილისი 0160, საქართველო.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე.

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით.

გარანტის მიმართ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

პატივისცემით,
ფიქრია ...
საერთაშორისო ... ოპერაციების სამსახურის უფროსი

204378869

ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 26 მარტი 2018 წ.

ვადასტურებ, რომ ქ. ბათუმში, ნ. ნიჟარაძის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოების (ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე - NAT180000396) განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
კეთილმოწყობის სამსახურის ტექნიკური
ზედამხედველობის განყოფილების მესამე
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიძინა კონცელიძე